

Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd

საქართველოში

China Watch

ანგარიში 12

დეკემბერი 2022



NATIONAL
ENDOWMENT
FOR
DEMOCRACY

SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

საქართველოში
ჩინური



სარჩევი

შესავალი.....2

რას წამოადგენს
Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd3

შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი
(Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd)
საქართველოში5

აღმოსავლეთ-დასავლეთის E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის
სამტრედია-გრიგოლეთის გზის მესამე მონაკვეთის მშენებლობა 11

HNRB უგანდაში.....12

HNRB როგორც საფრთხე თავად ჩინეთისთვის.....15



შესავალი

უკვე ოთხი წელია რაც, სამოქალაქო იდეა წლიურად რამდენიმე ანგარიშს სთავაზობს მკითხელს იმ ჩინური კომპანიების შესახებ, რომლებიც "ერთი სარტყელი, ერთი გზის" ინიციატივის ფარგლებში, აქტიურად აგრძელებენ ქართულ ბაზარზე, და უფრო კონკრეტულად კი საქართველოს ინფრასტრუქტურულ სექტორში მოღვაწეობას და პასუხისმგებლები არიან საქართველოში მთავარი მაგისტრალის, გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობაზე. თუ აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოსკენ იმგზავრებთ, რიკოტის უღელტეხილის გავლისას გზაზე სხვადასხვა ჩინური კომპანიის აბრევიატურებს შეხვდებით. ეს სწორედ ის უღელტეხილია, სადაც **51.6 კმ-მდე სიგრძის გზის მშენებლობა იგეგმება**, რომელიც ასევე 96 ხიდსა და 53 გვირაბს მოიცავს. რიკოტის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა 4 სექციად არის დაყოფილი:

<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=project&func=menu&uid=1392986222>

I სექცია

11.7 კმ

II სექცია

12,2 კმ

III სექცია

13 კმ

IV სექცია

14,7კმ

ჩინური კომპანიები	რიკოტის უღელტეხილის სექციები
China State Construction Engineering Corporation Limited	<u>ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთი (I სექცია) 11.7 კმ</u>
Hunan Road and Bridge Construction Group	<u>ხევი-უბისას მონაკვეთი (II სექცია) 12,2 კმ</u>
China Road and Bridge Corporation	<u>უბისა-შორაპანის მონაკვეთი (III სექცია) 13 კმ</u>
Guizhou Highway Engineering Group & China National Technical Import and Export Corporation	<u>შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი (IV სექცია) 14,7კმ</u>

ჩვენს ანგარიშებში, უცხოური მაგალითების შედარებითი ანალიზის საფუძველზე უკვე მიმოვიხილეთ China State Construction Engineering Corporation Limited-სა და China Road and Bridge Corporation-ს საქმიანობა და მათთან დაკავშირებული გადაცდომები საქართველოში. ამჯერად გთავაზობთ Hunan Road and Bridge Construction Group-ის მიერ საქართველოში მოგებული პროექტების ანალიზს და მის სკანდალურ პრაქტიკას უგანდასა და ჩინეთში.

რას წამოადგენს HUNAN ROAD AND BRIDGE CONSTRUCTION GROUP CO LTD

ჩინური კომპანია [Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd](https://cn.kompass.com/c/hunan-road-bridge-construction-group-corp/cn139896/) (HNRB) 1954 წელს დაარსდა და გზებისა და ხიდების მშენებლობის მიმართულებით ახორციელებს სამუშაოებს. კომპანიას 4000-მდე თანამშრომელი ჰყავს. [კომპანია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საკუთრებაა](http://www.hnrb.cn/qiyegaikuang/), მისი ოფიციალური მფლობელი კი ასევე ჩინური კომპანია Hunan Construction Investment Group Co., Ltd-ია.

<https://cn.kompass.com/c/hunan-road-bridge-construction-group-corp/cn139896/>

<http://www.hnrb.cn/qiyegaikuang/>



湖南投资集团
HUNAN INVESTMENT GROUP
股票代码: 深A 000548



სკანდალურ მოვლენათა თაიმლაინი

უხარისხო მშენებლობის გამო, ჩინეთში მდებარე 328 მეტრიანი ტუოჯიანგის (Tuojiang) ხიდი ჩამოინგრა. რის შედეგადაც დაიღუპა 64 ადამიანი, 22 დაშავდა, ხოლო ეკონომიკურმა ზარალმა 39,747 მილიონ იუანს (დაახლოებით 6 მილიონი აშშ დოლარი) მიაღწია.



2007

ადგილობრივი ხელისუფლების 20 წარმომადგენელსა და HNRB-ის ბორდის წევრებს, ქრთამის აღების, ბოროტმოქმედების, დაუდევრობისა და ორგანიზებული დანაშაულისთვის ჩინეთში 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.



2009

“რიკოტის საუდელტეხილო გზის, ხევი-უბისას მონაკვეთის მშენებლობისთვის გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია “Hunan Road and Bridge Construction Group“-სა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის ხელშეკრულება გაფორმდა.



2018

მასაკა-ბუკაკატას გზის პროექტის წინააღმდეგ უგანდაში ადგილობრივების პროტესტი დაიწყო, როდესაც მათ დროებით შეაჩერეს HNRB-ის მიერ წარმოებული სამშენებლო სამუშაოები, რასაც ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევაც მოჰყვა.



2019

რკინიგზელთა ახალი პროექტში მთელი ფეისბუქ გვერდის მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ “შპს „ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფსა“ და საქართველოს რკინიგზელთა ახალ პროფესიულ კავშირს შორის კოლექტიური შრომითი დავის შემათანხმებელი პროცედურა დაიწყო.“



2020

ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის" ქართული წარმომადგენლობის სატვირთო ავტომობილების მძღოლებმა საპროტესტო აქცია გამართეს და დამსაქმებელ კომპანიის წაუყენეს მოთხოვნები.



2020

ხარაგაულში Hunan Road and Bridge Construction Group-ის 250 თანამშრომელი გაიფიცა ხელფასის მომატების მოთხოვნით.



2021

ღირსეულმა შრომის პლატფორმამ განახორციელა შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში ინსპექტირება, რომლის ფარგლებშიც შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული 15 დარღვევა აღმოაჩინა.



2021

უგანდაში 100-ზე მეტმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა არაბულ კონტრაქტორს, Osman Ahmed Osman & Co-ს და მის ქვეკონტრაქტორს, HNRB-ს, უჩივლა, ვინაიდან მათ ვერ შეძლეს გზის მშენებლობისთვის საჭირო ქვის მოპოვების პროცესში სასოფლო სამეურნეო მიწებსა და საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება.



2021

სამტრედია-გრიგოლეთის გზის 12 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში კვლავ ჩინურმა კომპანია Hunan Road and Bridge Construction Group-მა გაიმარჯვა.



2022

შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი (HUNAN ROAD AND BRIDGE CONSTRUCTION GROUP CO LTD) საქართველოში

Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd-მა თავისი წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში ოფიციალურად 2019 წლის 10 მაისს დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში “შპს ჰუნ-ანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის” სახელით. თუმცა, Hunan Road & Bridge Construction Group Company Ltd ჯერ კიდევ 2018 წლის 28 ნოემბერს დაარეგისტრირდა საქართველოს სახელ-მწიფო შესყიდვების ერთიან პორტალზე. საჯარო რეესტრის მონაცემებით, იგი ქალაქ ხაშურში, ბორჯომის ქუჩა N2-ში 43059.00 კვ.მ არასასოფ-ლო სამეურნეო მიწის ნაკვეთს ფლობს საკუთრებაში.

E-60 ავტომაგისტრალის ხევი-უბისას მონაკვეთის (F2) სამ-შენებლო სამუშაოებისადმი სამოქალაქო იდეას ყურადღება კომპან-იამ E-60 ავტომაგისტრალის ხევი-უბისას მონაკვეთის (F2) სამშენ-ებლო სამუშაოებთან დაკავშირებულ ტენდერში გამარჯვებით მიიპ-ყრო. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული გზის მონაკვეთი აღმოსავ-ლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი 51.6 კილომეტრამდე სიგრძის მაგისტრალის ნაწილია. როგორც წინა ანგარიშებში უკვე მიმოვიხ-ილეთ, ზემოხსენებული მაგისტრალის ოთხივე მონაკვეთის მშენებ-ლობას სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ჩინური კომპანიები ახორციელებენ.

ხევი-უბისას გზის მონაკვეთის მშენებლობის პროექტი აზიის განვი-თარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და შესყიდვის ჯამ-ური ღირებულება 732,296,478.02 ლარია.

ტენდერში ჯამში 10 კომპანია იღებდა მონაწილეობას. Hunan Road & Bridge Construction Group Company Ltd-ის გამარჯვების მიზეზი მის მიერ, კონკურენტებთან შედარებით, ყველაზე დაბალი ფასის შეთავაზება გახდა.

სამწუხაროდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონ-ულ სისტემაში, არ არის დამატებითი ინფორმაცია განთავსებული ზემოხსენებული ტენდერის ფარგლებში არსებულ შერჩევის პრო-ცესთან, ასევე ინფორმაცია კომპანიის მიერ წარდგენილი დოკ-უმენტების სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობასთან

<https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyQwlsX3qmYsntmLmFI5dwxVnOk%5BL%5DYOtMSmLpWle4cQulBlwvJ7PYsBxjDaL>

<https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge>

<https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=101&bid=boVlyQwlsX3qmYsntmLmFAtmpiohPo20SGHpj9gDmPpUUZ89LGIYIwCsPwGplcMk>

https://www.gov.ge/files/495_68788913473_2164.pdf
https://www.gov.ge/files/495_68788913473_2164.pdf
<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=project&func=menu&uid=1392986222>

https://www.gov.ge/files/495_68788913473_2164.pdf
<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1541504393>
<http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1541504393>

¹იხილეთ სამოქალაქო იდეას მიერ გამოქვეყნებული მე-7 ანგარიში პროექტ „China Watch“-ის ფარგლებში/ See Report N7 by Civic Idea within the project „China Watch“:

<https://www.facebook.com/georoad.ge/photos/a.2785140384893378/2785140794893337/>

https://www.gov.ge/files/495_68788_913473_2164.pdf

<http://www.businesstime.ge/index.php?page=content&id=3785&MenuItemD=17>

<https://bm.ge/ka/article/rikotis-axali-magistralis-nawili-wels-gaixsneba/116718>

დაკავშირებით. წინამდებარე ინფორმაციის გაცემაზე გზების დეპარტამენტი უარს აცხადებს, იმ მიზეზით, რომ მხოლოდ ტენდერში მონაწილე სუბიექტს შეუძლია, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და განმარტებები შერჩევის პროცესთან დაკავშირებით.¹

პროექტისა და მშენებელი კომპანიის შესახებ ინფორმაციის სიმწირის მიუხედავად, სამოქალაქო იდეამ, საჯაროდ განთავსებული წყაროების ფარგლებში, საინტერესო ფაქტების მოძიება შეძლო. გარემოებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ხევი-უბისას გზის მონაკვეთის მშენებლობა არც ისე იდეალურად მიმდინარეობს, როგორც ამას საავტომობილო გზების დეპარტამენტი იუწყება სოციალურ მედიასა თუ სხვა ინტერნეტ რესურსების გამოყენებით:

1. სამშენებლო სამუშაოების დათქმულ პადაში შეუსრულებლობა

- გამარჯვებულ კომპანიასა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა 2018 წლის 9 ნოემბერს.
- 2018 წლის ნოემბერშივე გავრცელდა ინფორმაცია ინტერნეტ გამოცემებში, რომ “რიკოთის საუღელტეხილო გზის, ხევი-უბისას მონაკვეთის მშენებლობისთვის გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია “Hunan Road and Bridge Construction Group“-სა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის ხელშეკრულება გაფორმდა.”
- ამავე გამოცემის თანახმად, მშენებლობა სამ წელში უნდა დასრულებულიყო, თუმცა ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამოცემა BM.GE-ს განუცხადა, რომ “2022 წლის ბოლომდე რიკოთის ახალი მაგისტრალის ნაწილი გაიხსნება, ხოლო მთლიანად 52-კილომეტრიანი გზა ექსპლუატაციაში 2023 წლიდან შევა. მინისტრ ირაკლი ქარსელაძის განცხადებით, საუბარია ხევი-უბისას და უბისა-შორაპნის მონაკვეთებზე.”
- Hunan Road and Bridge Construction Group ვადაგადაცილებას ვერც 2020 წლის Covid-19-ით გამოწვეულ საგანგებო

მდგომარეობას დააბრალებს, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2020 წლის 1 აპრილის დადგენილება №211-ის დანართი N3-დან ირკვევა, რომ Hunan Road and Bridge Construction Group იმ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტების/მეწარმე სუბიექტების სიაში მოხვდა, რომლებიც არ იზღუდება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში.

<https://alservice.ge/wp-content/uploads/2020/04/181s-danarTi-N-3-4.pdf>

- შესაბამისად გაუგებარია რითია გამოწვეული დაგვიანება, და კიდევ უფრო გაუგებარია რატომ არ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს საქართველოს მთავრობა ჩინური კომპანიების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების მუდმივი დარღვევის მიუხედავად.

2. უპაჟოფილო თანამშრომლები

2020 წლის 30 იანვარს რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის მიერ ფეისბუქ გვერდის მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ

“შპს „ჭუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფსა“ და საქართველოს რკინიგზელთა ახალ პროფესიულ კავშირს შორის კოლექტიური შრომითი დავის შემათანხმებელი პროცედურა დაიწყო.”

<https://www.facebook.com/rkinigzispr ofkavshiri/posts/3196504037044885/>

- პროფკავშირის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით:
რიკოტის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობაზე დასაქმებულთა მიერ წარმოებული კოლექტიური შრომითი დავის საგანს წარმოადგენს:

<https://www.facebook.com/rkinigzispr ofkavshiri/posts/3196504037044885/>

1. შპს „ჭუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფში“ დასაქმებულ პირთა ინდივიდუალური ხელშეკრულებების მოწესრიგება კანონის შესაბამისად (ხელშეკრულების ვადები, ფასიანი შვებულების, ბიულეტენის და სხვა კანონით რეგულირებული საკითხები);
2. პროფესიული კავშირის მონაწილეობით, შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა და კონტროლის მექანიზმების შემუშავება (ინდივიდუალური და კოლექტიური დავის საშუალებები);
3. სახელფასო ანაზღაურების სისტემის დარეგულირება და სახელფასო ანაზღაურების მატება;

4. დღისა და კვირის სამუშაო ნორმის, ზეგანაკვეთური საათებისა და სადღესასწაულო დღეების ანაზღაურების ტარიფის დადგენა/დარეგულირება;

5. კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება „რკინიგზელთა ახალ პროფესიულ კავშირთან“ რომელიც დამატებით სოციალურ გარანტიებთან ერთად მოიცავს ჯანმრთელობის კორპორატიულ დაზღვევას, ჰიგიენური ნორმების, სველი წერტილების, მოსასვენებელი ობიექტებისა და ტრანსპორტირების საკითხების დარეგულირებას;”

- 2020 წლის 12 ოქტომბერს, ინტერნეტ გამოცემა BM.GE-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ რომ ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის" ქართული წარმომადგენლობის [სატვირთო ავტომობილების მძღოლებმა საპროტესტო აქცია გამართეს](https://bm.ge/ka/article/rikotze-momushave-chinuri-samsheneblo-kompaniis-tanamshromlebi-gaificnen-gancxadeba/65887) და დამსაქმებელ კომპანიის წაუყენეს მოთხოვნები.

2020 წლის 12 ოქტომბრის მოვლენასთან დაკავშირებით Hunan Road and Bridge Construction Group-მა განაცხადა, რომ:

[„კომპანიის მენეჯმენტის გუნდის მიერ ორგანიზებული იქნა აქციაში მონაწილეებთან შეხვედრა, სადაც აღნიშნული პრობლემური საკითხების განხილეს. შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა და მოთხოვნათა უმრავლესობაზე მიღწეული იქნა შეთანხმება, ხოლო დარჩენილ საკითხებზე კომპანიის ხელმძღვანელობა შეჰპირდა დასაქმებულებს, რომ უმოკლეს ვადაში მოახდენს რეაგირებას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში“](https://bm.ge/ka/article/rikotze-momushave-chinuri-samsheneblo-kompaniis-tanamshromlebi-gaificnen-gancxadeba/65887)

- თუმცა, როგორც ჩანს კომპანიას არ შეუსრულებია დაპირებები, ვინაიდან 2021 წლის მაისში კვლავ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხარაგაულში Hunan Road and Bridge Construction Group-ის 250 თანამშრომელი გაიფიცა ხელფასის მომატების მოთხოვნით:

[„კომპანიის თანამშრომლები ამბობენ, რომ ხელფასი შესრულებული სამუშაოს შესაფერისი არ არის. მათივე თქმით, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის გამო, დასაქმებულები ოჯახების რჩენას ვეღარ ახერხებენ.“](https://mtavari.tv/news/42495-protesti-kharagaulshi-gzis-mshenebeli-kompania)

- სამშენებლო მოედანზე დასაქმებულმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ [მისი დღიური ხელფასი 28 ლარია](https://nbg.gov.ge/monetary-policy/currency) (შესაბამისი პერიოდის [კურსით 6.7 ევროს უდრის](https://nbg.gov.ge/monetary-policy/currency)), რაც არ

<https://bm.ge/ka/article/rikotze-momushave-chinuri-samsheneblo-kompaniis-tanamshromlebi-gaificnen-gancxadeba/65887>

<https://bm.ge/ka/article/rikotze-momushave-chinuri-samsheneblo-kompaniis-tanamshromlebi-gaificnen-gancxadeba/65887>

<https://mtavari.tv/news/42495-protesti-kharagaulshi-gzis-mshenebeli-kompania>

<https://georgiatoday.ge/road-construction-workers-go-on-strike/?fbclid=IwAR3mR3-E0hDB4Tm11f5mv9dodhgX9sZrVlOcBMIVw15ypqAD8H5GovPuqxY>

<https://nbg.gov.ge/monetary-policy/currency>

არის საკმარისი არსებობისთვის. თანამშრომლები ხელფასის 30%-ით გაზრდას მოითხოვდნენ.

- თანამშრომელთა [კიდევ ერთი მოთხოვნა სამუშაო ტერიტორიაზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა](#) იყო.
- სამწუხაროდ, სამოქალაქო იდეასთვის უცნობია, რით დამთავრდა დასაქმებულთა პროტესტი, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით არ იძებნება ინფორმაცია საჯარო წყაროებში, თუმცა ფაქტი ერთია - ჩინური კომპანია ქართველ თანამშრომლებს საკმაოდ მძიმე სამუშაოებისთვის ღირსების შემლახველ ანაზღაურებას სთავაზობდა და არც შრომის უსაფრთხოების წესების დანერგვაზე “იწუხებდა თავს”. ამასთან კომპანიას, მუდმივად არღვევდა დასაქმებულების შრომის უფლებებს.

<https://georgiatoday.ge/road-construction-workers-go-on-strike/?fbclid=IwAR3mR3-E0hDB4Tm11fSmv9dodhgX9sZrVIOcBMIVwl5ypqAD8H5GovPuqxY>

3. შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა

- 2021 წლის 27 მაისს ღირსეული შრომის პლატფორმა, რომელიც არაფორმალური ერთობამ, [რომელიც საქართველოს შრომითი პოლიტიკის გაუმჯობესებისა და ღირსეული შრომითი პირობების შექმნის იდეის გარშემო, აერთიანებს დამოუკიდებელი პროფესიული კავშირებს, ადამიანის უფლებების ორგანიზაციებსა და აქტივისტებს](#), განახორციელა შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფი კომპანიის ფილიალი საქართველოში [ინსპექტირება, რომლის ფარგლებშიც შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული 15 დარღვევა აღმოაჩინა](#).
- 5 თვის შემდეგ ღირსეული შრომის პლატფორმამ [განმეორებითი ინსპექტირება](#) ჩაატარა კომპანიაში, თუმცა დასაქმებულს ჯერ კიდევ არ ჰქონდა სრულად გამოსწორებული ყველა დარღვევა.
- ღირსეული შრომის პლატფორმაზე განთავსებული ინფორმაციით ასევე ირკვევა, რომ დარღვევების გამო Hunan Road and Bridge Construction Group-ს ჯამში [15000 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა](#).

<https://shroma.ge/about/>

<https://shroma.ge/monitor/inspection.php?lang=ka&uid=001632>

<https://shroma.ge/monitor/inspection.php?lang=ka&uid=001632>

<https://shroma.ge/monitor/inspection.php?lang=ka&uid=001632>

გამოვლენილი დარღვევები	მითითების შესრულების სტატუსი
1. არ აქვს/არასრულია რისკების შეფასების პოლიტიკა ან/და არ იცავს პრევენციულ ღონისძიებებს	✓
2. არ უზრუნველყოფს დასაქმებულთა სწავლებასა და ინსტრუქტაჟს	✓
3. არ აქვს პირველადი დახმარების, სახანძრო უსაფრთხოებისა და საევაკუაციო ღონისძიებების მართვის პროცედურა	✓
4. არ ამოწმებს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობას და დოკუმენტირებას	✓
5. არ უზრუნველყოფს დასაქმებულებს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით	✓
6. არ იცავს სანიტარულ და ჰიგიენურ სტანდარტებს	✗
7. არ იყენებს კოლექტიური დაცვის ღონისძიებებს (ვენტილაცია, დამცავი ფარები და სხვა)	✓
8. არ იცავს ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ უსაფრთხოების ღონისძიებებს (ელექტროუსაფრთხოება, ბალონების შენახვა და სხვა)	✓
9. არ იცავს ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ უსაფრთხოების ღონისძიებებს (ელექტროუსაფრთხოება, ბალონების შენახვა და სხვა)	✗
10. არ იცავს ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ უსაფრთხოების ღონისძიებებს (ელექტროუსაფრთხოება, ბალონების შენახვა და სხვა)	✓
11. არ იცავს ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ უსაფრთხოების ღონისძიებებს (ელექტროუსაფრთხოება, ბალონების შენახვა და სხვა)	✓
12. არ იცავს ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ უსაფრთხოების ღონისძიებებს (ელექტროუსაფრთხოება, ბალონების შენახვა და სხვა)	✓
13. არ იცავს ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ უსაფრთხოების ღონისძიებებს (ელექტროუსაფრთხოება, ბალონების შენახვა და სხვა)	✓
14. არ იცავს ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ უსაფრთხოების ღონისძიებებს (ელექტროუსაფრთხოება, ბალონების შენახვა და სხვა)	✓
15. არ იცავს ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ უსაფრთხოების ღონისძიებებს (ელექტროუსაფრთხოება, ბალონების შენახვა და სხვა)	✓

აღმოსავლეთ-დასავლეთის E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის გზის მესამე მონაკვეთის მშენებლობა

2022 წლის 21 სექტემბერს გამოცემა [ინტერპრესნიუსმა](https://www.interpressnews.ge/ka/article/727265-samtredia-grigoletis-mesame-monakvetis-mshenebloba-icqeba/) გამოაქვეყნა სიახლე სამტრედია-გრიგოლეთის გზის მესამე მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებით. პროექტს ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 324.6 მლნ. ლარს შეადგენს. ხოლო დასრულების ვადად 2 წელია განსაზღვრული.

<https://www.interpressnews.ge/ka/article/727265-samtredia-grigoletis-mesame-monakvetis-mshenebloba-icqeba/>

აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ხევი-უბისას გზის სამშენებლო სამუშაოების ვადაგადაცილების, შრომითი უფლებების მრავლობითი დარღვევების, შრომის პლატფორმაზე უკიდურესად ნეგატიური შეფასებებისა, სამტრედია-გრიგოლეთის გზის 12 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებით [გამოცხადებულ ტენდერში კვლავ ჩინურმა კომპანია Hunan Road and Bridge Construction Group-მა გაიმარჯვა](https://batumelebi.netgazeti.ge/news/437462/). საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადებით, [სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობაზე თავდაპირველად კომპანია Todini Costruzioni Generali S.p.A მუშაობდა, თუმცა ამ უკანასკნელმა ვალდებულებები არ შეასრულა](https://batumelebi.netgazeti.ge/news/437462/). გზების დეპარტამენტს განცხადებაში არ დაუკონკრეტებია, რა ტიპის დარღვევების გამო შეწყიტა ხელშეკრულება [Todini Costruzioni Generali S.p.A](https://batumelebi.netgazeti.ge/news/437462/) -თან. ამ საკითხში სიცხადის შეტანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმის ფონზე, რომ ტენდერში გამარჯვებული ახალი კომპანია - [Hunan Road and Bridge Construction Group](https://batumelebi.netgazeti.ge/news/437462/) არა მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბითაა სახელგატეხილი და ცუდი რეპუტაციის მქონე, არამედ იმიტომაც რომ მას საქართველოშივე უფიქსირდება ვადაგადაცილება და დარღვევები ანალოგიური პროექტის განხორციელების ფარგლებში.

<https://batumelebi.netgazeti.ge/news/437462/>

<https://batumelebi.netgazeti.ge/news/437462/>

<https://batumelebi.netgazeti.ge/news/437462/>

<https://batumelebi.netgazeti.ge/news/437462/>

საინტერესოა ასეთი ნეგატიური გამოცდილების შემდეგ, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა რატომ შეარჩია მომწოდებლად ისეთი კომპანია, რომელსაც ცუდი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს და ამასთან მოგებულ პროექტს ვერ ასრულებს დროულად.

სამოქალაქო იდეას [China Watch](https://civicidea.ge/?s=China+Watch)-ის ანგარიშების დასკვნები, უმეტესწილად ერთმანეთის მსგავსია - საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების მიერ დაფინ-

<https://civicidea.ge/?s=China+Watch>

ანსებული მსხვილი პროექტების ფარგლებში გამოცხადებულ ტენდერებს იგებენ ჩინური კომპანიები, რომელთა საერთაშორისო რეპუტაციაც საეჭვოა, გახვეულნი არიან არაერთ სკანდალში, მათ მიმართ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, სანქცირებული არიან სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ. საქართველოში მოგებული პროექტები კი მუდამ კანონდარღვევებით, ხარვეზებითა და ვალდებულებების დარღვევით სრულდება ან საერთოდ ვერ სრულდება. არც Hunan Road and Bridge Construction Group-ის შემთხვევაში გვაქვს განსხვავებული მოცემულობა. ფაქტია, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მიმწოდებლის შერჩევისას არ გამოიჩინა მაქსიმალური გულისხმიერება და კეთილსინდისიერება, არ გადაამოწმა კომპანიის საერთაშორისო რეპუტაცია, თვალი დახუჭა მის დარღვევებზე ხევი-უბისას გზის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას. შესაბამისად, ჩნდება დასაბუთებული, გონივრული ეჭვი, ტენდერის ფარგლებში დაკავშირებული მხარეებისა და კორუფციული გარიგებების არსებობაზე.

იმისათვის, რომ უფრო კარგად გავიაზროთ კომპანიის სკანდალური რეპუტაცია, ჩვენი სხვა ანგარიშების მსგავსად, აქაც შემოგთავაზებთ მისი უარყოფითი პრაქტიკის მიმოხილვას, უგანდის და თავად ჩინეთის მაგალითზე.

HNRB უგანდაში

https://www.afdb.org/sites/default/files/documents/project-related-procurement/publication_of_award_of_contract_for_works_lot_2.pdf

http://www.enghunan.gov.cn/hneng/News/Localnews/202206/t20220613_25574736.html

<http://en.hncc-china.com/index.php?m=content&c=index&a=show&catid=25&id=202>

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, Hunan Road and Bridge Construction Group Co. Ltd. (HNRB) აქტიურად იგებს ინფრასტრუქტურულ კონტრაქტებს აფრიკის კონტინენტზე. ის ხელმძღვანელობს პროექტებს [კენიაში](#), [ნიგერიაში](#), [რუანდაში](#) და ა.შ. და იქ ადგილობრივი ოფისებიც აქვს გახსნილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩინურმა კომპანიამ აფრიკაში პროექტების უმეტესობის განხორციელება ახლახან დაიწყო, რეგიონიდან უკვე გამოჟონა რამდენიმე სკანდალურმა ფაქტმა. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს კი სწორედ უგანდა წარმოადგენს.


2013 წელს, უგანდის რესპუბლიკის მთავრობამ, მისი ერთ-ერთი სააგენტოს - უგანდის ეროვნული საავტომობილო გზების დეპარტამენტის მეშვეობით, Arab Bank for Economic Development in Africa (BADEA)-სა და OPEC Fund for International Development (OFID)-სგან აიღო სესხი, მასაკა-ბუკაკატას გზის (41კმ) განახლებისთვის, რომელიც წარმოადგენს უგანდას ერთ-ერთ კრიტიკული

მნიშვნელობის გზას და „აკავშირებს მასაკას ბუკაკატას სადესანტო ადგილთან და ვიქტორიას ტბაზე არსებულ ლამზუს სოფელთან“. პროექტის დაწყება 2015 წელს იყო დაგეგმილი და სამ წელიწადში, 2018 წლისთვის უნდა დასრულებულიყო. მიუხედავად ამისა, მისი განხორციელება გაჭიანურდა კატოსის გზის მშენებლობასთან დაკავშირებული მორიგი სკანდალის გამო, სადაც კონტრაქტორმა კომპანიამ სასამართლოს მიმართა პროცესის შეჩერების თხოვნით, და ამით ხელისუფლების ყურადღება სრულიად მიიპყრო. თავდაპირველად, მასაკა-ბუკაკატას გზის პროექტის ღირებულება 70 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა; თუმცა, მისი ფასი 2018 წელს 51 მილიონ აშშ დოლარამდე შემცირდა (გაურკვეველია, რაზე დაიხარჯა მთლიანი სესხიდან დარჩენილი 19 მილიონი აშშ დოლარი) და გადაეცა არაბულ და ეგვიპტურ კომპანიებს, რომლებმაც მოგვიანებით ქვეკონტრაქტორად HNRB აირჩიეს. „გზის მშენებლობის პროექტი ითვალისწინებდა გზის გაწმენდასა და გასწორებას, მიწის სამუშაოებს, ჭაობების შევსებას, სანიაღვრე ქსელის მშენებლობასა და საფარის ფენების მშენებლობას“.

<https://www.unra.go.ug/news/excitement-as-masaka-bukakata-road-is-commissioned>

<https://web.archive.org/web/20150311203455/http://munnovoice.com/?p=1346>

<https://projectstoday.com/News/Uganda-govt-commences-construction-of-NyendoBukakkata-road>



<https://www.facebook.com/thenewvision/posts/hunan-road-bridge-construction-group-co-ltd-in-charge-of-constructing-bukakatta-10158429393674078/>

<https://www.monitor.co.ug/uganda/news/national/unra-lists-24-completed-roads-bridges-and-ferries-3546902>

უკვე 2019 წელს უგანდის მთავრობამ სამშენებლო სამუშაოების დაწყების ნებართვა გასცა. გზის მშენებლობა სამი წლის განმავლობაში წარმატებით ხორციელდებოდა და სამუშაოებს პანდემიამაც ვერ შეუშალა ხელი. უფრო მეტიც, HNRB-მ, როგორც ერთ-ერთმა კონტრაქტორმა, ადგილობრივ მოსახლეობას **10000-ზე მეტი** სახის ნილაბი და სხვა სამედიცინო პროდუქცია სრულიად უსასყიდლოდ, მათი ლოიალობის მოსაპოვებლად გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ მასაკა-ბუკაკატას გზის მშენებლობა **2021 წლის ივნისში დასრულდა**, რამდენიმე თვის შემდეგ, ჩინური კონტრაქტორი HNRB დიდ სკანდალში გაეხვია.



(Source:
https://twitter.com/unra_ug/status/1295327269439844355)

<https://witness.co.ug/masaka-bukakata-road-project-affected-persons-sue-contractor-over-compensation/>

2021 წლის ნოემბერში, 100-ზე მეტმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა არაბულ კონტრაქტორს, Osman Ahmed Osman & Co-ს და მის ქვეკონტრაქტორს, HNRB-ს, უჩივლა, ვინაიდან მათ ვერ შეძლეს გზის მშენებლობისთვის საჭირო ქვის მოპოვების პროცესში სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება. როგორც ჩანს, მოპოვების დროს, **HNRB-მ ასაფეთქებელი ნივთიერებები გამოიყენა**, რომელთა აფეთქების შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის სახლებს ზზარები გაუჩნდა, ხოლო პლანტაციები კი დაზიანდა. გარდა ამისა, მსგავსი ქმედებების

დროს საფრთხე შეექმნა ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას, რადგან აფეთქებების მახლობლად მყოფმა რამდენიმე ქალმა და ცხოველმა მუდმივი აფეთქებების გამო მრავლობითი აბორტი განიცადა. ადგილობრივების პროტესტი ჯერ კიდევ 2019 წელს დაიწყო, როდესაც მათ შეაჩერეს კომპანიის სამუშაოები, რასაც შემდგომ ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევაც მოჰყვა. პასუხისმგებელი კონტრაქტორები ადგილობრივ თანამდებობის პირებთან ერთად დაზარალებულებს მშენებლობის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას დაჰპირდნენ. თავდაპირველი შეთანხმების თანახმად, კომპენსაცია სამუშაოს განახლებამდე უნდა გაეცათ; მიუხედავად ამისა, კომპანიის ინჟინრებმა დაარწმუნეს მაცხოვრებლები, რომ მშენებლობა წინასწარი გადახდის გარეშე გაეგრძელებინათ, ხოლო კომპენსაციას კი მოგვიანებით, პროექტის სრულად განხორციელების შემდეგ გასცემდნენ. იმის გამო, რომ დაპირება არ შესრულდა, მასაკას უმაღლესმა სასამართლომ ორივე კომპანია სასამართლოში დაიბარა, რის შემდგომაც დაავალდებულა ისინი რომ მოენახულებინათ დაზარალებულები, შეეფასებინათ ზიანი, შეედგინათ დასკვნითი დოკუმენტი და გადაერიცხათ ადგილობრივი მოსახლეობისთვის დაპირებული კომპენსაცია.

HNRB როგორც საფრთხე თავად ჩინეთისთვის

ჩინურმა კომპანია Hunan Road and Bridge Construction Group Co. Ltd.-მ საფრთხის ქვეშ დააყენა ჩინეთის მოქალაქეების სიცოცხლე ფენგუანგის ოლქში, ჰუნანის პროვინციაში. 2007 წლის 13 აგვისტოს, უხარისხო მშენებლობის გამო, მდინარე ტუოზე მდებარე 328 მეტრიანი ტუოჯიანგის (Tuojiang) ხიდი ჩამოინგრა. რის შედეგადაც დაიღუპა 64 ადამიანი, 22 დაშავდა, ხოლო ეკონომიკურმა ზარალმა 39,747 მილიონ იუანს (დაახლოებით 6 მილიონი აშშ დოლარი) მიაღწია. შემთხვევის ადგილზე 120-ზე მეტი სამედიცინო პერსონალი მუშაობდა, ხოლო გადაუდებელი ოპერაციის ჩასატარებლად 1560-მდე მამუკელი იყო შეკრებილი. მსგავსი შემთხვევები ხშირია ჩინეთის სახელმწიფოს ისტორიაში, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ კონკრეტული ხიდის ნგრევა მისი მძიმე და დამღუპველი შედეგების გამო ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ტრაგიკული მოვლენაა. ტრაგედიის შემდეგ, იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა ვენ ჯიაბაომ მაშინვე გასცა გამოძიების

https://www.terraily.com/reports/More_than_20_jailed_over_2007_China_bridge_collapse_state_media_999.html

<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S209575642200040X>

https://www.chinadaily.com.cn/china/2007-08/14/content_6026695.htm

<https://www.ctvnews.ca/china-bridge-collapse-leaves-dozens-dead-1.252557?cache=yes%3Fclipid%3D104056%3Fautoplay%3Dtrue%3Fautoplay%3Dtrue>

ბრძანება და საზოგადოებას ამ კატასტროფის ყველა დამნაშავეს დასჯას დაჰპირდა. საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო კომუნიკაციების, მშენებლობის, ჯანდაცვისა და ზედამხედველობის სამინისტროების წარმომადგენლებით, სამუშაო უსაფრთხოების სახელმწიფო ადმინისტრაციის დირექტორის, [ლი იუან-ჟონგის](https://www.chinadaily.com.cn/china/2007-08/14/content_6026695.htm) ხელმძღვანელობით შეიქმნა.

https://www.chinadaily.com.cn/china/2007-08/14/content_6026695.htm



<http://www.china.org.cn/english/China/221019.htm>

ტოუჯიანგის ხიდის მშენებლობა [2004 წლის მარტში დაიწყო](https://www.ctvnews.ca/china-bridge-collapse-leaves-dozens-dead-1.252557?cache=yes%3Fclipid%3D104056%3FautoPlay%3Dtrue%3Dtrue). მისი გახსნა კი 2007 წლის აგვისტოს ბოლოსთვის იყო დაგეგმილი. ის სწორედ გახსნამდე ჩამოინგრა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ოფიციალური გახსნის ცერემონია არ იყო ჩატარებული. ხიდი [Hunan Huagang Transportation Design Institute](https://www.ctvnews.ca/china-bridge-collapse-leaves-dozens-dead-1.252557?cache=yes%3Fclipid%3D104056%3FautoPlay%3Dtrue%3Dtrue)-მა დააპროექტა, ხოლო მისი განხორციელება კომპანია Fengda-ს დაევალა, რომელიც დასავლეთ ჰუნანის პროვინციაშია დაფუძნებული. 1.6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროექტის მთავარი კონტრაქტორი იყო Hunan Road and Bridge Construction (Group) Ltd. Co., ან HNRB, იმ დროისთვის, ცნობილი როგორც RBC.

<https://www.ctvnews.ca/china-bridge-collapse-leaves-dozens-dead-1.252557?cache=yes%3Fclipid%3D104056%3FautoPlay%3Dtrue%3Dtrue>

გამოძიების ინფორმაციით, ხიდის ჩამონგრევის დროს ხარაჩოებს 100-ზე მეტი მუშა, მათ შორის ადგილობრივი ფერმერები ხსნიდნენ. ასევე გამოძიებამ დაამტკიცა რომ, ისევე როგორც სხვა ხიდები ჩინეთში, ეს კონსტრუქცია [ცუდად იყო დაპროექტებული და უჩვეულოდ სწრაფად აშენდა](https://www.theguardian.com/world/2007/aug/14/china.jonathanwatts). ერთ-ერთი [გადარჩენილი მუშა ამტკიცებდა](https://www.latimes.com/archives/la-xpm-2007-aug-15-fg-chi-bridge15-story.html), რომ დეკორატიული მიზნებისთვის აშენებული ოთხი ქვის თაღი ძალიან დიდი მოცულობის იყო და ხარაჩოების მოსაშორებლად საკმარისად მშრალი არ იყო. ლი იუანჟონგმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ტრაგედიის ერთ-ერთ მიზეზად [ადმინისტრაციული დარღვევებიც](https://www.reuters.com/article/us-china-bridge-idUSPEK18727520070816) დასახელდა. მთლიანობაში, კომპანია Hunan Road and

<https://www.theguardian.com/world/2007/aug/14/china.jonathanwatts>

<https://www.latimes.com/archives/la-xpm-2007-aug-15-fg-chi-bridge15-story.html>

<https://www.reuters.com/article/us-china-bridge-idUSPEK18727520070816>

Bridge Construction (Group) Co.-მ „სასტიკად დაარღვია მშენებლობის ძირითადი პროცედურები და ხარისხის სტანდარტები, ბრმად დააჩქარა პროექტის მიმდინარეობის პროცესი და თვითნებურად შეცვალა მშენებლობის გეგმა. გარდა ამისა, მშენებლობის ადგილის მენეჯმენტიც არ იყო სათანადოდ მოწესრიგებული, ხოლო თავად მშენებლობა იყო დაბალი ხარისხის, რამაც პროექტს სერიოზული საფრთხე შეუქმნა.” კომპანია ამტკიცებდა, რომ მას ევალუბოდა მხოლოდ ხიდის ძირითადი სტრუქტურის აშენება და არა მისი შემოგარენის (როგორიცაა ზემოთ ნახსენები ოთხი ქვის თალი), სადაც საფრთხის შემცველი ცარიელი სივრცე წარმოიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ დანაშაული არ აღიარა, კომპანიის მენეჯერი სია იოუჯა და პროექტის ხელმძღვანელი, ჯიანგ პინგი, ხუთ სხვა ექვმიტანილთან ერთად დააკავეს. HNRB-ის თავმჯდომარე, ჩენ ჟიბინგი, და გამგეობის გენერალური მენეჯერი, ლიუ ქსიაოდონგი, ყველა ადმინისტრაციული და პარტიული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. 2007 წლის ბოლოსთვის, ინციდენტში მონაწილეობის გამო 32-ზე მეტი პირი, მათ შორის სახელმწიფო მოხელეები და კონტრაქტორები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წესით გაასამართლეს. გამოძიების შედეგებით დადგინდა, რომ "ხიდის ჩამონგრევა ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეულ მძიმე ინციდენტს წარმოადგენდა". 2009 წლისთვის კი ადგილობრივი ხელისუფლების 20 წარმომადგენელსა და HNRB-ის ბორდის წევრებს, ქრთამის აღების, ბოროტმოქმედების, დაუდევრობისა და ორგანიზებული დანაშაულისთვის 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

<http://www.china.org.cn/en-news/news080122-2.htm>

<https://www.globaltimes.cn/content/666624.shtml>

<https://www.toledoblade.com/frontpage/2007/08/14/China-bridge-collapse-kills-22-44-missing/stories/200708140025>

https://covid-19.chinadaily.com.cn/china/2007-12/26/content_6348035.htm

[https://www.terraily.com/reports/More than 20 jailed over 2007 China bridge collapse state media 999.html](https://www.terraily.com/reports/More%20thand20jailedover2007Chinabridgecollapsestatemedia999.html)

ბიბლიოგრაფია

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან/Extract of entrepreneurs and non-entrepreneurs (non-commercial) legal entities from the registry - [https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFI5dwXnOk\[L\]YOtMSmLpWle4cQulBlwvJ7PYsBxjDaI](https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFI5dwXnOk[L]YOtMSmLpWle4cQulBlwvJ7PYsBxjDaI)
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 9 ნოემბრის განკარგულება N2164/Decree of the Government of Georgia dated November 9, 2018 N2164 - https://www.gov.ge/files/495_68788_913473_2164.pdf
- სტატია ხევი-უბისას მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობის ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შესახებ/An article about the company that won the tender for the construction of the highway on the Khevi-Ubisa section - <https://imedinews.ge/ge/ekonomika/84490/kheviubisas-monakvetze-avtobanis-msheneblobis-tendershi-gamarjvebuli-kompania-tsnobilia>
- ინფორმაცია E60 ავტომაგისტრალის ხევი-უბისას მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვის შესახებ/Information about the purchase of the construction works of the Khevi-Ubisa section of the E60 highway - <http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1541504393>
- ხევი-უბისას გზის მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებით მერთან შეხვედრა/Meeting with the mayor regarding the construction of Khevi-Ubisa road section- <https://kharagaulinews.gov.ge/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/page/483>
- სტატია რიკოტის ახალი მაგისტრალის ნაწილის გახსნის შესახებ/Article about the opening of part of the new highway in Ricoti - <https://bm.ge/ka/article/rikotis-axali-magistralis-nawili-wels-gaixsneba/116718>
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ქარსელაძე და მისი მოადგილეები, ჰუნანის პროვინციის ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირებს და რიკოტის საუღელტეხილო გზის, ხევი-უბისას მშენებელი კომპანიის "Hunan Road and Bridge Construction Group" -ის ხელმძღვანელების შეხვედრა/First Deputy Minister of Regional Development and Infrastructure of Georgia, Chairman of the Department of Highways Irakli Karseladze and his deputies, meeting with the heads of the Department of Transport of Hunan Province and the heads of the construction company "Hunan Road and Bridge Construction Group" of the Khevi-Ubisa highway - <https://www.facebook.com/georoad.ge/photos/a.2785140384893378/2785140794893337/>
- ადიდებულმა წყალმა რიკოტზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მაქათუბანსა და საქასრიამში მშენებარე ავტობანი დატბორა და Hunan Road and Bridge Construction Group-ის ტექნიკა წაიღო/The overflowing water flooded the highway under construction in the villages of Makatuban and Sakasria in the villages of Kharagauli municipality on Rikot and carried away the equipment of Hunan Road and Bridge Construction Group. - <https://heretifm.com/adidebulma-tsqhalma-avtoba/>
- სტატია რა სარგებლობას მოუტანს რიკოტის ყველაზე მასშტაბური პროექტი საქართველოს/Article What benefits will Ricoti's largest project bring to Georgia - <https://businessfeed.ge/ra-sargeblobas-moutans-rikothis-ghvelaze-masshtaburi-proeqti-sagarthvelos/>
- სტატიები ხარაგაულში ჩინური სამშენებლო კომპანიის "ჰუნანის" თანამშრომლების, ხელფასის მომატების მოთხოვნით, გაფიცვის შესახებ/Articles about the strike of employees of the Chinese construction company "Hunan" in Kharagauli, demanding a salary increase - <https://mtavari.tv/news/42495-protesti-kharagaulshi-gzis-mshenebeli-kompania> <https://georgiatoday.ge/road-construction-workers-go-on-strike/?fbclid=IwAR3mR3-E0hDB4Tml1fSmv9dodhgX9sZrVIOcBMIVwl5ypqAD8H5GovPuqxY>
- ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის "ქართული წარმომადგენლობა დასაქმებულების გაფიცვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს./The Georgian representative office of Hunan Roads and Bridges Construction Group publishes a statement regarding the strike of employees. <https://bm.ge/ka/article/rikotze-momushave-chinuri-samsheneblo-kompaniis-tanamshromlebi-gaificnen-gancxadeba/65887>
- ღირსეული შრომის პლატფორმა/Fair Work Platform <https://shroma.ge/monitor/inspection.php?lang=ka&uid=001632>
- რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის ფეისბუქ გვერდი/Facebook page of the new railway trade union <https://www.facebook.com/rkinigzisprofkavshiri/posts/3196504037044885/>
- სტატია "სამტრედია-გრიგოლეთის მესამე მონაკვეთის მშენებლობა იწყება"/Article "The construction of the third section of Samtredia-Grigoleti road begins" - <https://www.interpressnews.ge/ka/article/727265-samtredia-grigoletis-mesame-monakvetis-mshenebloba-icqeba/>

- გამომცემლობა ბათუმელები "ავტობანის 12-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა ლანჩხუთში განახლდება"/"The construction of the 12-kilometer section of the highway will be resumed in Lanchkhuti" - <https://batumelebi.netgazeti.ge/news/437462/>
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან/Extract from the public registry - <https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=101&bid=boVlyOwlsX3qmYsntmLmFAtmpjohPo20SGHpi9gDmPpUUZ89LGIYIwcsPwGplcMk>
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 1 აპრილის დადგენილება №211 – ვებგვერდი, 02.04.2020წ/Resolution No. 211 of the Government of Georgia of April 1, 2020 - website, 04.02.2020 <https://alservice.ge/wp-content/uploads/2020/04/181s-danarTi-N-3-4.pdf>
- EXCITEMENT AS MASAKA – BUKAKATA ROAD IS COMMISSIONED; 2022; Source: <https://www.unra.go.ug/news/excitement-as-masaka-bukakata-road-is-commissioned>
- Uganda road future exciting – UNRA boss; 2014; Source: <https://web.archive.org/web/20150311203455/http://munnovoice.com/?p=1346>
- Uganda govt commences construction of Nyendo–Bukakkata road; 2019; Source: <https://projectstoday.com/News/Uganda-govt-commences-construction-of-NyendoBukakkata-road>
- Bruce Zhang Zhaohuan delivered the products to the Kalungu Corona Task Force led by RDC Caleb Tukayikirizza (Photo Evidence); 2020; Source: <https://www.facebook.com/thenewvision/posts/hunan-road-bridge-construction-group-co-ltd-in-charge-of-constructing-bukakatta-/10158429393674078/>
- UNRA lists 24 completed roads, bridges and ferries; 2021; Source: <https://www.monitor.co.ug/uganda/news/national/unra-lists-24-completed-roads-bridges-and-ferries-3546902>
- Masaka-Bukakata road project affected persons sue contractor over compensation; 2021; Source: <https://witness.co.ug/masaka-bukakata-road-project-affected-persons-sue-contractor-over-compensation/>
- More than 20 jailed over 2007 China bridge collapse: state media; 2009; Source: https://www.terradaily.com/reports/More_than_20_jailed_over_2007_China_bridge_collapse_state_media_999.html
- Causes and statistical characteristics of bridge failures: A review; 2021; Source: <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S209575642200040X>
- 29 killed in China bridge collapse; 2007; Source: https://www.chinadaily.com.cn/china/2007-08/14/content_6026695.htm
- China bridge collapse leaves dozens dead; 2007; Source: <https://www.ctvnews.ca/china-bridge-collapse-leaves-dozens-dead-1.252557?cache=yes%3Fclipid%3D104056%3Fautoplay%3Dtrue%3Fautoplay%3Dtrue>
- Hunan Bridge Collapse Death Toll Climbs to 41; 2007; Source: <http://www.china.org.cn/english/China/221019.htm>
- 22 dead as Chinese bridge collapses; 2007; Source: <https://www.theguardian.com/world/2007/aug/14/china.jonathanwatts>
- Uncompleted bridge collapses in China; 34 dead; 2007; Source: <https://www.latimes.com/archives/la-xpm-2007-aug-15-fg-chibridge15-story.html>
- Collapsed China bridge made of rocks, concrete; 2007; Source: <https://www.reuters.com/article/us-china-bridge-idUSPEK18727520070816>
- Speech by Wang Wei, Vice Minister of the Ministry of Supervision; 2008; Source: <http://www.china.org.cn/enews/news080122-2.htm>
- Transport chief admits to safety defects; 2011; Source: <https://www.globaltimes.cn/content/666624.shtml>
- China bridge collapse kills 22, 44 missing; 2007; Source: <https://www.toledoblade.com/frontpage/2007/08/14/China-bridge-collapse-kills-22-44-missing/stories/200708140025>
- 32 officials disciplined over bridge collapse; 2007; Source: https://covid-19.chinadaily.com.cn/china/2007-12/26/content_6348035.htm



სამოქალაქო იდეას შესახებ

„სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნისთვის – სამოქალაქო იდეა“ საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გლობალურ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მანდატი ემსახურება დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნის რეალობად ქცევას, ყოველ მოქალაქემდე მიტანას და ინსტიტუციონალიზაციას.

დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანი, ეს არის თავისუფალი, სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობით შეიარაღებული მოქალაქეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

„სამოქალაქო იდეა“ აქტიურად აკვირდება ჩინეთის მზარდ გავლენებს საქართველოში.

სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს დააკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში, თუმცა კვლევა ასევე ეფუძნება სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის შედარებითი ანალიზს. დღეს ჩინეთის საქმიანობა საქართველოში პირდაპირი, ხილული და მყისიერი საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა რესპექტაბელური და ავტორიტეტული ორგანიზაციების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების, ევროკავშირის მრავლობითი ორგანიზაციების კვლევების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების იგნორირება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მყარი საგარეო ორიენტირების მოშლისა და ქვეყნის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების შესახებ ბუნდოვანი ხედვის თაობაზე.

ჩვენს შესახებ

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები,
განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის
მხოლოდ მათ და არ ასახავს
ფონდების პოზიციას.

შესაბამისად, არც ერთი
დამხმარე ორგანიზაცია არ არის
პასუხისმგებელი ინფორმაციული
მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე
პასუხისმგებლები არიან

**მარიამ უსენაშვილი,
ანი კინწურაშვილი**

<https://civicidea.ge/en/about-us/>

